

F

83.926

3

351.825




საქართველოს სოციალისტ. საბჭოთა რესპუბლიკა

პროლეტარებო უპალა ქვეყნისა, უპერთლით!

~~295~~

783.926

3



~~1070~~

მიწის კანონები

და


93

122

ინსტრუქციები

ЗАПИСНО ВЪ ИМПУТНОЙ МАШ.
№ 109. 263

ზასი 50,000 შანათი



გამოცემა მიწად-მოქმედების კომისარიატის მიწათ-მომწყობი განყოფილებისა, 1922 წ.

სახელმწიფო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკა



158


№ 448. ტირაჟი — 1500.

Handwritten scribbles and markings on the right side of the page.

საქმე-2000
ფონდების განყოფილება

სახელმწიფო ბიბლიოთეკის
საქმე-2000
ფონდების განყოფილება

თბილისი
უმალ. საქ. სახ. სამ. საბ. მე-3-ე სტამბა. კალთვების ქ. № 5.
1922 წ.



დეკრეტი № 17

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიწის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა მთავრობა მთელი ხალხის წინაშე აცხადებს, რომ მიწის საკითხის გადაჭრა უნდა მოხდეს მხოლოდ მშრომელთა სასარგებლოდ შემდეგ საფუძველზე:

1. ყველა მიწები მთელი მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებას შეადგენს. მიწის ყიდვა-გაყიდვა, მისი იჯარით ან რაიმე სხვა სახით ვისმეზე გადაცემა ისპობა.

2. ის მიწები და სხვილი მამულები, რომლებიც ყოფილ მთავრობის დროს ჩამოურთმეველი შერჩათ კერძო მემამულეებს, ეკლესიებს, მონასტრებს და სხვილ მფლობელთ, შენობებით, ყოველივე ინვენტარით, სამეურნეო იარაღებით ერთმევათ დღევანდელ მფლობელთ სრულიად უსასყიდლოდ და წინეთ ჩამორთმეულ მიწებთან ერთად ჩაირიცხებიან მიწის სახელმწიფო ფონდში და გადადიან მშრომელთა სასარგებლოდ.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ეხება წვრილ და საშუალო მფლობელთ; ამ კატეგორიის მფლობელები პირიქით მიიღებენ დასამუშავებლად მიწის საკმაო რაოდენობას თავის ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3. სამოსახლო ადგილები (ეზოები) პატარა ზომისა სოფლად და ქალაქად პატარა ბაღებით და ბოსტნებით დღევანდელ მფლობელთა სარგებლობაში დარჩება, ხოლო მიწის ამ ნაკვეთების სიდიდე განსაზღვრული იქნება ცალკე დამატებითი კანონით თანახმად ამ დეკრეტის მეექვსე მუხლისა.



4. ყველა, როგორც წინეთ, ისე ამ დეკრეტის

ჩამორთმეული მიწები მთელი შენობებით, ყოველგვარი მოწყობილობით, სამეურნეო ინვენტარით გადაირიცხება მიწის სახელმწიფო ფონდში და გადადის ადგილობრივ (სათემო, სამაზრო ან საგუბერნიო) გლეხთა დეპუტატების საბჭოების პირდაპირ განკარგულებაში; სანამ კი ასეთები არ შემდგარან ეს მიწები გადავა სათანადო რევოლიუციონურ კომიტეტების განკარგულებაში. ყველა ეს ორგანოები მიწის საკითხის მოწესრიგების საქმეში სახელმძღვანელო დირექტივებს ღებულობენ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან.

5. ჩამორთმეული ან ჩამოსართმევი მამულის რაიმე დაზიანება ან გაფუჭება, რომელიც ამიერიდგან შეადგენს სახალხო კუთვნილებას, გამოცხადებულია სასტიკ დანაშაულად, რაც დასჯილი უნდა იქნეს რევოლიუციონური კანონით.

გლეხთა დეპუტატების სათემო და სამაზრო საბჭოები, ან რევოლიუციონური კომიტეტები ღებულობენ ყოველივე საჭირო ზომებს მიწების ჩამორთმევის დროს სასტიკი წესრიგის დასაცავად.

6. ყველა სოფლის საზოგადოებაში ან თემში დაუყოვნებლივ უნდა შესდგეს უმიწაწყლო, წვრილი და საშუალო მიწის მშრომელთაგან, ე. ი. ღარიბი გლეხკაცობისაგან, მიწის კომიტეტები, რომლებიც მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის და სამაზრო გლეხთა დეპუტატების საბჭოს ან რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ახდენენ მიწის ჩამორთმევას (კონფისკაციას) და ადგილობრივ პირობის მიხედვით განსაზღვრავენ როგორც მიწის იმ ნორმას, რომელიც უნდა ჩამორთმეულ იქნეს, აგრეთვე მიწის ნორმას, ანუ რაოდენობას, რომელიც უნდა გადაეცეს გლეხკაცობის ცალკე ოჯახებს სასარგებლოდ მიწის არსებული ფონდიდან, გარდა იმ მამულებისა, რომელთა მოვლა-პატრონობა და დამუშავება, თანახმად ამ დეკრეტისა, დაკისრებული აქვს თვით სახელმწიფოს ან თემს (მუხ. 7).



7. სხილი მამულები, სადაც გაშენებულია სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის და მაღალი კულტურის პლანტაციები, სანერგეები, ბაღები, ორანჟერეები და სხვ. არ იქნებიან დანაწილებულნი, არამედ გადაიქცევიან კულტურულ-საჩვენებელ სახალხო მამულებად და გადაეცემათ თავის სიდიდის და მნიშვნელობის მიხედვით სახელმწიფოს, ან ადგილობრივ საბჭოების განკარგულებაში.

შენიშვნა: აგრეთვე ჯიშისანი ოთხფეხის, ან ფრინველის მომშენებელი ყოველი კერძო წარმოება უნდა გამოცხადდეს სახალხო ქონებად და უნდა გადაეცეს თავისი სიდიდის და მნიშვნელობის მიხედვით სახელმწიფოს, ან თემს.

8. საბჭოთა მთავრობა, როგორც სასოფლო მეურნეობის წარსამატებლად და განსავითარებლად, ისე მშრომელი მასის საკეთილდღეოდ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სათემო ან კოლექტიური მეურნეობის სხვა და სხვა ფორმების (კომუნების, არტელების და სხვა.) შემოღებას და ზრდა-განვითარებას. კოლექტიურ მეურნეობაში მიწვეული უნდა იქნენ სოფლის პროლეტარები და ნახევარ-პროლეტარები, ანუ ის გლეხები, რომელთაც ან სრულებით არ აქვთ საკუთარი მეურნეობა, ან თუ აქვთ მეტად უმნიშვნელო, ე. ი. არ მოეპოვებათ არც სამყოფი მიწა და არც სამყოფი სამეურნეო იარაღი მის დასამუშავებლად. ასეთ კომუნებს თუ არტელებს განსაზღვრულ პირობებში გადაეცემა თავისუფალი მიწის ნაქრები, გარდა ამისა სახელმწიფო აღმოუჩენს მათ როგორც აგრონომიულ დახმარებას, ისე ნივთიერ სახსარსაც, მიწის დამუშავების საუკეთესოდ მოსაწყობად.

9. მიწის წიაღი: მადნეულობა, ნავთი, ქვანახშირი, შავი ქვა, მარილი და სხვა., აგრეთვე ტყეები, მდინარეები და ტბები, რომელთაც აქვთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, გადადიან სახელმწიფოს განსაკუთრებულ სარგებლობაში. ყველა

პატარა მდინარეები, ტბები და ტყეები (ბუჩქნარები) გადადიან სათემო სარგებლობაში, რომელთაც განაგებენ ადგილობრივი თვითმმართველი ორკანოები (გლეხთა დეპუტატების საბჭოები).

10. მიწით სარგებლობას უფლება ეძლევა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს განსჯის უფლებად სქესისა, ვინც კი მოინდოვებს მიწის დამუშავებას საკუთარს შრომით თავის ოჯახის დახმარებით ან ამხანაგობით და მხოლოდ იმ დრომდე, სანამ შეეძლება მიწის მუშაობა.

მიწის მშრომელი, რომელთაც მოხუცებულობის ან დასნეულების გამო სამუდამოთ მოესპობა მუშაობის უნარი, კარგავენ უფლებას მიწით სარგებლობისას, ხოლო სამაგიეროდ სახელმწიფოსაგან იღებენ დახმარებას პენსიის სახით.

ამ გზით ჩამორთმეული მიწის ნაჭრები გადადიან სახელმწიფოს საადგილ-მამულო ფონდში, უპირატესობა ამ ნაწილების მიღებისა ეძლევა ახლობელ ნათესაებს იმ პირისა და მისივე ჩვენებით, რომელსაც ჩამოერთვა მიწა.

11. ყველა მიწის მუშაკი, უმიწაწყლო თუ მცირე მიწის მქონებელი გლეხი სახალხო საფონდო მიწიდან მიიღებს სამყოფ მიწას, რაც უზრუნველყოფს მის და მისი ოჯახის არსებობას.

12. თუ ვინცობა რომელიმე ადგილას მიწის სივიწროვა და არსებული ფონდი სამყოფი არ იქნება ყველა ადგილობრივ მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლად შესაძლებელია მოხდეს გადასახლება ერთი ადგილიდან მეორე ადგილას. ამ შემთხვევაში გადასახლების მოწყობას და აგრეთვე ამის გამო გამოწვეულ ხარჯებს და გადასახლებულებისათვის საჭირო სამეურნეო იარაღების მიწოდებას კისრულობს თვით სახელმწიფო. თვით გადასახლება უნდა მოხდეს ნებაყოფლობით და არავითარ იძულებით მოქმედებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

13. ვინც ამ ქონებრივი გადატრიალების დროს დაზა-



რალდება, მას აქვს უფლება მხოლოდ საზოგადოებრივ დაწა-
რებაზე იმ დრომდე, სანამ ის ახალ პირობებს შეეწყობა.

14. ჩამორთმეული მიწების მთელი სამკურნეო ინვენტარი, ანუ სამეურნეო იარაღები, მაშინები, პირუტყვი და სხვა უსას-
ყიდლოდ გადადის თავისი სიდიდის და მნიშვნელობის მიხე-
დვით სახელმწიფოს ან თემის სარგებლობაში.

15. ამ დეკრეტის ძალით ყოველგვარი გადასახადი მიწა-
ზე საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის
ტერიტორიაზე სამუდამოდ ისპობა.

16. ამ დეკრეტის დლიდან გაუქმებულია ყველა მიწის
კანონები, რომლებიც იქნენ გამოცემული სხვა და სხვა მთა-
ვრობებისაგან 1921 წ. 25 თებერვლამდე, როგორც მაგალი-
თად 1917 წლ. 16 დეკემბრის, 1918 წ. მარტის 7-ს, 1919
წლ. 28 იანვრის და 1920 წ. 10. თებერვლის.

17. იმ უმიწაწყლო ან მცირე მიწიან გლეხებს, რომლე-
ბმაც ყოფილი მთავრობის დროს მიწა შეიძინეს მიწის ფონდი-
დან ფულზე, ნაყიდი მიწა რჩებათ სარგებლობაში ამ დეკრე-
ტის საფუძველზე, ხოლო გაღებული ფული უნდა დაუბრუნდეს
ხაზინიდან.

18. საბოლოო დაწვრილებითი კანონი მიწის საკითხის
მოსაგვარებლად და ცხოვრებაში გასატარებლად ამ დეკრეტის
საფუძველზე გამოძეუებული და გამოქვეყნებული იქნება სულ
ახლო მომავალში.

1921 წ., აპრილის 6.

დეკრეტი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა მიწათმოწყობის შესახებ. (შედგენილია 1921 წ. აპრილის 6-ს თარიღისა და მე 17 №-ის დეკრეტის მე-18 მუხლის თანახმად).

I

ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მთელი მიწა-წყალი შეადგენს ერთიან სახელმწიფო ფონდსა და ამ მიწაზე მცხოვრებ მშრომელ ხალხის საერთო კუთვნილებას.

ამ ფონდს განაგებს და აწესრიგებს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი.

2. მიწათმოწყობის მიზანია 1921 წ. აპრილის 6-ს თარიღისა და მე-17 №-ის დეკრეტის განხორციელება.

3. მიწათმოწყობის საგანს შეადგენს:

ა) მიწით დაკმაყოფილება: 1) უმიწაწყლო გლეხისა და მცირე მიწაწყლის მქონე მეურნის; 2) კულტურულ, სამრეწველო, (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) და ადმინისტრაციული დაწესებულებისა და 3) კომუნისა, ამხანაგობისა, ან არტელისა და სხვა კოლექტივისა;

ბ) მჭიდროთ დასახლებულ სოფლების განტვირთვა და ახალშენების მოწყობა;

გ) მიწის დაქუცმაცების თავიდან აცილება და მიწების რაციონალურად დანაწილება.



4. მიწათმოწყობის სამუშაოს უშუალო აღმასრულებელი არიან:

მიწადმოქმედების კომისარიატის სამაზრო განყოფილებანი და სასოფლო საადგილ-მამულო კომიტეტები, რომელთა ფუნქციები და მოქმედების საგანი ცალკე ინსტრუქციით განისაზღვრება.

II.

მიწის ნორმა.

5. მიწის ნორმის განსაზღვრის საფუძველია ცალკე მეურნეობა (კომლი) და მიწის ავკარგიანობა.

6. მიწის ნორმა ყოფილი საკუთარ მამულიდან დაეტოვება მხოლოდ იმ მეურნეს, რომელიც ცხოვრობს ადგილობრივ და საკუთარის შრომით ეწევა მეურნეობას.

მოხუცებულ-დავრდომილს, ქვრივ-ობოლს, მიწის-მუშა წითელ არმიელს და ყველას, ვინც მობილიზაციით ღროებით მოწყვეტილ იქნება მეურნეობას, დაეტოვება სრული ნორმა.

ყველა მუშა მოსამსახურეს, რომელიც მსახურობს განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო დაწესებულებაში და წაბოვებაში (როგორც არის მაგალითად რკინის გზა, ქვანახშირის მრეწველობა და სხვა) დაეტოვება ნახევარი მიწის ნორმა.

შენიშვნა 1: ოჯახის წევრად ჩაითვლება მოსწავლეს 25 წლის ასაკამდე.

შენიშვნა 2: სამოსახლო და სხვა მიწის ნორმები აღნიშნულია ამ მუხლის ცალკე დამატებაში.

7. მეურნეს, რომელიც ინტენსიურად ამუშავებს მიწას (მისდევს ჩაის, თამბაქოს, ვენახის, ძვირფასი მცენარეების და სხვა ამგვარ სამრეწველო კულტურას) დაეტოვება მთლად ის მიწა, რომელიც ფაქტიურად მის სარგებლობაში არის და შემუშავებულია მისი პირადი და მისივე ოჯახის წევრთა შრომით, თუნდაც ამ მიწის რაოდენობა დაწესებულ ნორმას აღე-

მატებოდეს და უკეთეს ეს მეურნეობა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მერ ჩარიცხული არ იქნება საბჭოთა მამულად.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო მფლობელს დაეტოვება ისეთი კულტურული მამული, რომელიც ნორმას აღემატება, ეს მამული შეიძლება დაიბეგროს განსაკუთრებული გადასახადით საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების დასტურით.

8. მიწა მიეცემა საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელიც პირადი შრომით ამუშავებს მიწას და რომლის საცხოვრებელ წყაროსაც შეადგენს სოფლის მეურნეობა, აგრეთვე ქვრივს, ობლებს და დავრდომილთ. ფონდიდან მიწის მიცემა სწარმოებს თავისუფალი მიწის ფონდის რაოდენობის მიხედვით.

9. ახალშენში გადასახლებულის მიწით დაკმაყოფილება მოხდება იმავე ნორმით, რომელიც დაწესებულია იმ რაიონებისათვის, სადაც საახალშენო ფონდი არსებობს. მოახალშენე ვალდებულია თავისი უძრავი ქონება ძველ ბინადრობაზე გადასცეს ადგილობრივი საბჭოს განკარგულებაში ახალშენში მოწყობის შემდეგ, ხოლო არა უგვიანეს ორი წლისა დღიდან ახალშენში გადასახლებისა.

10. კომუნას, ამხანაგობას ან არტელს, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით, შეიძლება მიეცეს ესა თუ ის კულტურულად შემუშავებული მამული მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს კოლექტივში შევლენ იმ სოფლის, ან მომიჯნავე სოფლის უმიწაწყლო, ან მცირე მიწის მქონენი, რომელ სოფელშიაც მდებარეობს მამული. ასეთ კოლექტივში შეიძლება წევრად მიღება ერთ ან რამდენიმე გარეშე პირისა. თუ ისინი თავისი სპეციალური ცოდნით საჭირონი არიან ამხანაგობისათვის.

III

მიწის სარგებლობა.

11. მიწის სარგებლობის ფორმა, იქნება იგი საკომლო, საარტელო, საამბანაგო, საკომუნო თუ სათემო, თავისუფალია.

შენიშვნა: სათემო მიწის სარგებლობის მონაწილეს ნება აქვს ყოველ დროს გამოვიდეს სათემო წესიდან და ცალკე სარგებლობისათვის მიიღოს მიწის ხვედრი ნორმა.

12. მიწათ-მოწყობის მუშაობის დამთავრების შემდეგ მიწების გადაყოფა (передел) აკრძალულია.

13. მიწის სარგებლობა არის უვადო, შეუწყვეტელი და საშვილიშვილო.

14. მიწის სარგებლობის უფლება მოისპობა:

- ა) როცა ოჯახის ყველა წევრი თავის ნებით უარს იტყვის მიწის სარგებლობაზე;
- ბ) ოჯახის გადაშენებით;
- გ) როცა ოჯახი გადასახლდება ახალ ადგილზე
- დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონში გინსახდვრული დანაშაულობისათვის.
- ე) მიწის ჩამორთმევით სახელმწიფოს საჭიროებისათვის (გზებისა და არხების გასაყვანად, სახელმწიფო სამრეწველო დაწესებულებათათვის და სხვ.)

შენიშვნა: მესუთე წერტში აღნიშნულ შემთხვევაში მიწის პატრონს უნდა აენაზღაუროს ზარალი და, შეძლების დაგვარად, მიეცეს სხვა მიწა.

15. მიწის სარგებლობის უფლების გადაცემა (გაყიდვა, ჩუქება, დაგირავება და იჯარით გადაცემა) აკრძალულია.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში სტიქიური უბედურების გამო (მოუსავლობა, პირუტყვის გაწყვეტა და სხვა) ან მუშა ხელის დაკლების მიზეზით (მობი-

ლიზაციით გაწვევა და სხ.) დროებით შერყეულ შეურნეობას, აგრეთვე ქვივ-ობლებს და მოხუცებულ-დავრდომილებს, უფლება ეძლევათ მიწა იჯარით გასცენ მიწად მოქმედების კომისარიატის სამაზრო განყოფილების კანტროლს ქვეშ, რომელი განყოფილებაც მოქმედებს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციების თანახმად იჯარის შესახებ.

16. დაქირავებული შრომის სარგებლობა სასოფლო შეურნეობაში შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის კანტროლის ქვეშ:

ა) იმათთვის ვისაც აქვს უფლება მიწის იჯარით გაცემისა (შენიშვნა მე-15 მუხლისა) და

ბ) სასწრაფო, ვადიანი სამუშაოს სეზონში: თოხნისა, მკისა, ვენახისა ან სხვა მცენარეების წამლობისა, ჩაის მოკრეფისა, ჭირნახულის მოწევის დროს და სხვ.

17. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს დაევალება შეიმუშაოს ამა დებულების განსამარტებლად ცალკე ინსტრუქციები.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე

1922 წ. მაისის 26. თბილისი—სასახლე.

ღამატიუბა

მიწათ მოწყობის დებულების მე-6 მუხლისა.

1. საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვისაც სოფლად აქვს ცალკე მოსახლეობა, სულ ერთია აქვს მას უფლება მიწის ნორმის მიღებისა თუ არა, შეუძლიან დანიტოვოს სამოსახლო ადგილი ზომით არა უმეტეს 1200 კვ. საჟენისა ერთ ნაქრად, ხოლო ვისაც სამოსახლო ადგილი ახლად უნდა მიეცეს, მას მიეზომება სამოსახლო ადგილი არა ნაკლებ 300 და არა უმეტეს 600 კვ. საჟენისა. ეს ნორმა სამოსახლო ადგილის ქვემოდ მოყვანილ მიწის ნორმაში არ ჩაითვლება.

2. მიწის ნორმების განსაზღვრისათვის საქართველოს ტერიტორია გაიყოფა შემდეგ ხუთ რაიონად:

პირველ რაიონს შეადგენს: გორის მაზრის მთიანი ნაწილი ტირიფონის ველის და ცხინვალის ჩრდილოეთით, დუშეთის მაზრა, გარდა ხევისა და გუდამაყრის ხეობისა და მუხრანისა და საგურამოს სააგარო რაიონებისა; თიანეთის მაზრა გარდა მთიან თუშავ-ხევსურეთისა, თელავის მაზრა მთლად, სიღნაღის მაზრის ალაზნის ხეობა, ბორჩალოს მაზრის კაჩაგანის, დემურჩი-ვასანლინის, ვია-ურ-არხის, არუხლო-სარვანის და აშაგა-სარალის თემები და თბილისის მაზრის ყარაიას ველი.

მეორე რაიონს შეადგენს, თიანეთის, სიღნაღის, თბილისის და ბორჩალოს მაზრების დანარჩენი ნაწილები და დუშეთის მაზრის ხევი და გუდამაყრის ხეობა.

მესამე რაიონს შეადგენს მტკვრისა და ლიახვის ხეობა, გორის მაზრის საზღვრებში ცხინვალის სამხრეთით და დუშეთის მაზრის მუხრანის და საგურამოს სააგარო რაიონები.



მეოთხე რაიონს შეადგენს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები (მესხეთი და ჯავახეთი). და

მეხუთე რაიონს — იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, გურია და სამეგრელო.

შენიშვნა 1: სააგარო რაიონების შედგენილობა სოფლობით მიღებულია იგივე, რაც მიწადმოქმედების სამაზრო განყოფილებისათვის.

შენიშვნა 2: დავას რომელიმე სოფლის ამა თუ იმ რაიონზე მიწერის შესახებ გადაწყვეტს საადგილ მამულო კომიტეტი.

3. ნორმად დასატოვებელი და დასანაწილებელი ყველა მიწა გაიყოფა ოთხ კატეგორიად:

პირველ კატეგორიაში ჩაითვლება: საეზოვე, ბალი, ვენახი, საბოსტნე, კარზე ტყე, ხელოვნურად გაშენებული ტყე და უმაღლეს კულტურისათვის სავარგისი სარწყავი სახნავი მიწა, სარწყავი სათიბი და ის ურწყავი მიწები. რომელიც კარგ მოსავალს იძლევა.

მეორე კატეგორიაში: სახნავ-სათესი მიწა, რომელიც სისტემატიურად არ ირწყვება, ურწყავი სახნავი მიწა, რომელიც საშუალო მოსავალს იძლევა, ურწყავი სათიბი და ვაკე ჯავნარი, რომელსაც გაკათვის შემდეგ საშუალო მოსავლის მოცემა შეუძლიან.

მესამე კატეგორიაში: ყველა სხვა სახნავი მიწა და ეწერი. და **მეოთხეში** — ჩირვანარიანი ფერდო და ქვიანი ჩირვანარი.

შენიშვნა: გამოუსადეგარი მიწა-წყალი, როგორც მაგალითად, ჭხა, რიყე, ტბა, ქაობი, მდინარე, ლელე, ხრამი, კლდე, მეწყერი და სხვა ამ გვარი რამე, თუ რომელიმე მათგანს განსაკუთრებული ღირებულება არა აქვს, ნორმაში არ ჩაითვლება.

4. მიწის ნორმა დაწესდება საშუალო ოჯახზე. საშუალო ოჯახათ ჩაითვლება თვითეული ცალკე კომლი, რომელიც

წარმოადგენს განსაკუთრებულ და დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს 3—5 სილისაგან შემდგარს. როცა ოჯახში ხუთ სულზე მეტია, ნორმას ემატება თითო ზედმეტ სულზედ ნორმის ერთი მეათედი და როცა სამ სულზე ნაკლებია, ნორმას აკლდება ამდენივე თითო ნაკლებ სულზე.

5. მიწის ნორმები, რომელიც დაეტოვება თითო კომლს:

რაიონი	კ ა ტ ე ზ ო რ ი ა დ ე ს ე ტ ი ნ ო ზ ი თ			
	I	II	III	VI
პირველი	ოთხი	ექვსი	რვა	ათი
მეორე	ოთხ ნახევარი	ექვსი	შვიდ ნახევარი	ცხრა
მესამე	სამი	ხუთი	ექვსი	შვიდ ნახევარი
მეოთხე	სამ ნახევარი	ხუთი	ექვს ნახევარი	რვა
მეხუთე	ორ ნახევარი	ოთხი	ხუთი	ექვსი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე**.
1922 წ. მაისის 26 თფილისი — სასახლე.

დამტკიცებ.
ს. თოდროია
31/17 22 წ.

ინსტრუქცია

მიწის მომწყობ ორგანოებისათვის

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში
(შედგენილი „მიწათ-მოწყობის დებულების“ მე-17 მუხ-
ლის თანახმად).

I

მიწის მომწყობი ორგანოები

1. მიწის მოწყობაში უახლოეს მონაწილეობას იღებენ
მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სამაზრო განყოფილებანი მიწათ-მოწყობნი, მიწის მზომელნი და სოფლის საადგილ-მამულო კომიტეტები.

2. სამაზრო განყოფილების მოვალეობას შეადგენს:

ა) მიწათ-მოწყობის სამუშაოს გეგმის შედგენა მაზრაში, მიწათ-მომწყობთან ერთად;

ბ) მიწათ-მომწყობის მიერ წარმოდგენილი ტენიკური პროექტის განხილვა და დამტკიცება;

გ) მიწათ-მოწყობ სამუშაოსთვის მიღებული თანხების ხარჯვა;

დ) თვალყურის დევნა მიწათ-მოწყობ საქმის მსვლელობაზე.


3 მიწათ-მომწყობს ევალება:

ა) მიწათ-მოწყობის ტენიკური პროექტის შედგენა;

ბ) საადგილ-მამულო კომიტეტების და მიწის მზომლების ხელმძღვანელობა;

გ) მიწათ-მოწყობის სამუშაოს ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა;

დ) სახალშენო სამუშაოსთვის საჭირო ცნობების შეკრევა;



Handwritten notes and initials on the left margin.

- ე) მიწის მზომელობა თვითური ანგარიშების განხილვა მათი კომისარიატში წარდგენა ერთი კვირის განმავლობაში;
- ვ) თვითური ანგარიშების წარდგენა კომისარიატში და სამაზრო განყოფილებაში.

მიწის მზომელს ვვალდება:

ყოველ-გვარი ტექნიკური სამუშაოს შესრულება მისი სპეციალობით და საბუთების შედგენა.

საადგილ-მამულთა კომიტეტის მოვალეობაში შედის:


- ა) მიწის კონფისკაცია;
- ბ) მიწის განაწილება უმიწაწყლოთა და მცირე მიწის მქონეთა შორის;
- გ) მიწის სარგებლობით გამოწვეულ უთანხმოების და დავების მორიგებით გათავება;
- დ) კოლექტიური ფორმით მიწის სარგებლობის იდეის გავრცელება.

II

მიწის მომწყობ ორგანოების მოქმედება.

4. სამაზრო განყოფილება, შეუდგება-რა თავის მოვალეობის ასრულებას, პირველ ყოვლისა შეადგენს სამუშაო გეგმას. ამისთვის ის მიწათ-მომწყობთან ერთად გამოიკვლევს თუ მაზრის რომელ ნაწილიდან უნდა დაიწყოს მუშაობა, რა ძალებით, განიხილავს სახელმწიფო დაწესებულებათა თხოვნებს მიწის მიზომის შესახებ და სხვა საერთო კითხვება, ამის შემდეგ თუ საჭიროთ დაინახავს წინადადებას აძლევს მიწათ-მომწყობს შეადგინოს პროექტი სამუშაო გეგმის ტექნიკურათ შესრულებაზე, რომლის დამტკიცების შემდეგ მიწათ-მომწყობი დაუყოვნებლივ შეუდგება თავის მოვალეობას.

5. როცა სამაზრო განყოფილება დაადასტურებს მიწათ-მომწყობის მუშაობის გეგმას, მიწათ-მომწყობს უნდა აცხადოს მიწის მზომელებს ადგილზე და ამაზე აკონსტრუქციონოს.





6. მიწის მზომელი, მიიღებს-რა მიწათ-მომწყობისაგან სა-
მუშაოზე წასვლის წინადადებას, საჭირო პლანებს, იარაღებს,
ავანსს, ინსტრუქციებს და ბლანკებს, მიდის დანიშნულ სო-
ფელში. როგორც სამაზრო ქალაქიდან გავლის, ისე ადგილზე
მისვლის დღის შესახებ აცნობებს მიწათ-მომწყობს. თუ რაიმე
მოულოდნელი მიზეზით მიწის მზომელი დანიშნულ დროს
ვერ წავიდა სამუშაოზე, ამაზე ის აცნობებს მიწათ-მომწყობს.

7. ადგილზე მისვლისთანავე მიწის მზომელი აღმასკომის
საშუალებით მოიწვევს სოფლის ყრილობას, საადგილ-მამულო
კომიტეტის ასარჩევათ, რის შესახებაც დგება სათანადო ოქმი
(ფორმა ა).

კომიტეტს ირჩევს ერთი ან რამდენიმე სოფელი მ—
უმიწაწყლო ან მცირე მიწის მქონე ადგილობრივ მცხოვრე-
ბთაგან. კომიტეტში შედიან წევრებათ მიწად-მოქმედების კო-
მისარიატის წარმომადგენელი—მიწის-მზომელი და თემის აღ-
მასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი. კომიტეტი თავ-
მჯდომარეს ირჩევს თავის წევრთა შორის. თავმჯდომარის
მოადგილეთ ითვლება. მიწის მზომელი თუ ის არ იქნა არჩეული
თავმჯდომარეთ.

8. კომიტეტი შეაყენებს სიას იმ პირთა, რომელთაც აქეთ
ნორმაზე მეტი მიწა (ფორმა ბ) შემოწმებულ საანკეტო ფურ-
ცელზე და პლანებზე (თუ ასეთები არის) დაყრდნობით. გა-
ახარისხებს მიწებს აკტის შედგენით (ფორმა გ) და აბრისის
დართვით, რომელშიდაც აღინიშნება სხვა და სხვა კატეგორიის
მიწების საზღვრები, და მიწების გახარისხების აკტს უდგენს
მიწათ-მომწყობს განსახილველათ და სამაზრო განყოფილებაში
წარსადგენათ.

9. სანამ კომიტეტი მიიღებს სამაზრო განყოფილებიდან
წინა მუხლში მოხსენებულ აკტს დამტკიცებულს, ის აწარმო-
ებს შემდეგ მოსამზადებელ მუშაობას: ადგენს სიებს უმიწაწყ-
ლოთა, მცირე მიწის მქონეთა და გადასახლების მსურველთა,

2260007608

ამოწმებს საზღვრებს და ზომას ამა თუ იმ მიწის ნაქრისა, თუ ეს საჭიროა და სხვა ამგვარ სამუშაოს.

შენიშვნა: გადასახლების მსურველნი არ ჰკარგავენ უფლებას ადგილობრივ ფონდიდან მიწის მიღებისას.

10. იმ შემთხვევაში თუ სოფელში არ აღმოჩნდა ჩამოსართმევი მიწა, კომიტეტი ამაზე შეაყენებს აქტს (ფორმა დ) და გადასახლების მსურველთა სიას და ამაზე აცნობებს მიწათმომწყობს.

11. კომიტეტი, მიიღებს-რა სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილებიდან მიწების განხარისხების დამტკიცებულ აქტს, შეუდგება ზედმეტი მიწების ჩამორთმევას და ნორმის დატოვებას.

12. ზედმეტი მიწების ჩამოსართმევათ კომიტეტი იწვევს უწყებით (ფორმა ე) მიწის პატრონს, რომლის გამოუცხადებლობა ჩამორთმევას ვერ შეაჩერებს. უწყება უნდა ჩაბარდეს მიწის პატრონს ან მისი ოჯახის წევრს არა უგვიანეს წინა დღისა მუშაობის დაწყებამდე, ადგილობრივ ადმინისტრაციის საშუალებით. ადგილის პატრონს უფლება აქვს მიწების არჩევისა მთლიანი ნაკვეთებით. რამდენ სოფელშიდაც უნდა ჰქონდეს მას მიწა, მაგრამ ნაკვეთის დაქუცმაცება არ შეუძლია.

13. როგორც მიწების ჩამორთმევის ისე ჩამორთმეულ მიწების გადაცემის შესახებ უნდა შესდგეს აქტი (ფორმა ვ), რომელშიდაც აღინიშნება: მაზრის და სოფლის სახელი და რაიონი, თვე და რიცხვი აქტის შედგენისა, მიწის კომიტეტის შემადგენლობა, იმ პირის, რომელსაც ერთმევა ან ეძლევა მიწა, სახელი, მამის სახელი და გვარი, მისი ოჯახის შემადგენლობა და ქონებრივი მდგომარეობა, დატოვებული და ჩამორთმეული მიწების სახელი, ნომერი გამიჯვნის პლანით, ზომა დესეტინებში, საზღვრები მსოფლიო მხარეების აღნიშვნით და ნაკვეთების მიწების შემადგენლობა (УГОДИЯ) და კატეგორია. აქტში საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამა და ამ პირს მიწა ეტოვება ან ეძლევა „უვადო და შეუწყვეტელ სარგებლო-

ბაში საშვილიშვილოდ“, აქტს ხელს აწერს საადგილ-მამულ-ლო კომიტეტი, ადგილის პატრონი და მომიჯნავენი. აქტი არსებითად საბოლოოა, თუ უკმაყოფილო მხარემ ის არ განასაჩივრა სამი დღის განმავლობაში დღიდან აქტის შედგენისა. საჩივარი უნდა შეტანილ იქნეს თითონ კომიტეტში.

შენიშვნა გამიჯნული ნაკვეთები უნდა აღინიშნონ აქტებში გამიჯვნის პლანის ნომრებით და ასეთი ნაკვეთების ახალი ნაწილები ასოებით (ЛИТЕРЫ) ამ ნომრებთან. როცა ნაკვეთები გამიჯნულია, აქტებს ერთვის ნაკვეთების პლანი, ხოლო თუ გაუმიჯნავია, ექსპლიკაციის შემდეგ უნდა აიწეროს ნაკვეთების საზღვრები. სოფლად მუშაობის თვეებში აქტების დასართავათ პლანების შედგენა სავალდებულო არაა. ასეთი პლანები შეიძლება შედგენილი იქნან ისეთ დროს, როცა მინდვრათ მუშაობა არ შეიძლება, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს შემდეგი წლის 1-ლ იანვრისა.

14 ვინც უკმაყოფილო დარჩება კომიტეტის მოქმედებით, შეიტანს ამაზე საჩივარს თვით კომიტეტში, რომელიც ჰგზავნის საჩივარს დაუყოვნებლივ თავისი ახსნა განმარტებით სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილებაში მიწის-მომწყობთან. ასეთი საჩივრის შეტანა კომიტეტის მოქმედებას ვერ შეაჩერებს.

15. მიწების ჩამორთმევის და ნორმების დატოვების შემდეგ დგება ნუსხა (ВЕДОМОСТЬ) ჩამორთმეულ მიწებისა, ზომის აღნიშვნით (ფორმა ზ), რის შემდეგაც კომიტეტი მოიწვევს ყრილობას, რომელზედაც: 1) არკვევს ვის სურს შევიდეს კომუნაში, ამხანაგობაში ან არტელში მიწების საამხანაგოთ დასამუშაველათ, 2) აღნუსხავს გადასახლების მსურველთ, 3) დაჰკითხავს სოფელს, სურს თუ არა მას სოფლის პლანზე მოწყობა და ახალ სამოსახლოებისათვის გადადებს მიწას, 4) დაწინააღმდეგებს მიწებს კულტურულ-განმანათლებელ მიზნებისთვის და



სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის და 5) გამოარკვევს შესაძლებლობას ცალკე ნაკვეთებათ გადაჭრისა სოფლის სათადარიგო ათ პროცენტთან ფონდისა და გადასახლების საჭიროებისათვის დარჩენილი: მიწისა (მუხ. 29 ამ ინსტრუქციისა). ყველა ამზე შესდგება აკტი (ფორმა თ) და გამოტანილ უნდა იქნეს დადგენილება მისი შესრულების შესახებ.

16. შესრულება ხდება შემდეგის თანდათანობით: პირველ ყოვლისა გამოიყოფა სამოსახლო ადგილები, შემდეგ მიწები კოლექტივებისათვის, შემდეგ საზოგადოებრივ და კულტურულ დაწესებულებათათვის, შემდეგ გადაიჭრება, სადაც ეს შესაძლებელი იქნება წინასწარ გამოანგარიშების თანახმად, სახალშენო ფონდი, შემდეგ მიეცემა მიწა უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთა და ბოლოს გადაიჭრება სათადარიგო ათ პროცენტისანი ფონდი. მიწების გადაცემის დროს სდგება გადაცემის აკტი (ფორმა ი.)

17. კომიტეტი განუმარტავს სოფელს კოლექტიურათ მიწის დამუშავების უპირატესობას და შეეკითხება, ვის სურს შესვლა კომუნაში ან ამხანაგობაში. რომ ასეთებს, რამდენათაც შესაძლებელია, ერთად მიეზომოს მიწა ნორმის ფარგლებში.

როცა სოფლელნი ასეთი კოლექტივის შედგენაზე თანხმობას გამოაცხადებენ, კომიტეტი შეადგენს მსურველთა სიას და აცნობებს მიწად-მოქმედების კომისარიატს სპეციალისტის გამოსავზავნათ საქმის სათანადო ორგანიზაციისათვის.

18. ყველა თავის მოქმედების შესახებ კომიტეტი ადგენს აკტებს, ახლად გამოყოფილ ნაკვეთების საზღვრების აღწერით და აზომვით,

19 მიწის ჩამორთმევის დროს კომიტეტი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ყოველ ცალკე მეურნეობის (კომლის) საარსებო ინტერესებს და კანონის ფარგლებში დაიცოს მეუ-



რნეობის მთლიანობა, რისთვისაც ისეთ პატარა ჩამონაკებს ნორმის მიზომვის შემდეგ, რომელიც მიწათ-მოწყობის თვალსაზრისით არ წარმოადგენს რაიმე ღირებულებას, უბრუნებს პატრონს.

20. როცა კომიტეტი მეურნეობის მთლიანობის დაცვის დაუტოვებს ვისმეს ნორმაზე მეტ მიწას, ამის შესახებ ის აღგენს ცალკე ოქმს მოტივების დაწვრილებით აღნუსხვით და ასლს ოქმისას დაუყონებლივ უგზავნის მიწად-მოქედების სამაზრო განყოფილებას.

21. მიწების დანაწილების დროს უნდა იქნენ დაკმაყოფილებულნი ჯერ ადგილობრივი მკვიდონი და შემდეგ — მოსულნი, უფრო ადრე მოსულთათვის უპირატესობის მიცემით

შენიშვნა: ახლად მოსული უცხოელები მიწას ვერ მიიღებენ.

22. კომიტეტი პირველ ყოვლისა აკმაყოფილებს უმიწაწყლოებს სამოსახლოებით და სხვა მიწებით და შემდეგ მცირე მიწის მქონეთ იმავე ნორმამდე როგორც უმიწაწყლოებს.

23. როცა სოფელში ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულების მოთხოვნით საჭირო იქნება მისთვის მიწის დატოვება, კომიტეტი გამოარკვევს დასატოვებელ მიწის რაოდენობას თავისუფალი ფონდის მიხედვით და მიწათ-მომწყობის დასტურის შემდეგ გადაჭრის მიწას შესაფერ ალაგზე.

24. კომიტეტებს კატეგორიულათ მოეთხოვებათ მიწების დაქუცმაცების თავიდან ასაცილებლათ მიიღონ ყველა ზომები, რომ ხვედრი მიწა ამა თუ იმ პირს მიეცეს ერთ ნაჭრათ, რისთვისაც ფართოთ უნდა იქნას წარმოებული ნაჭრების გაცვლა.

25. მიწათ-მოწყობის დროს ტყის გამგის თანხმობით ტყე შეიძლება დაეტოვოს ყოფილ მეპატრონეს მისივე სურვილის თანახმად სათანადო კატეგორიით ნორმაში ჩათვლით.

26. თუ საჭიროება მოითხოვს, სახელმწიფო ტყეების

ნაწილი შეიძლება შეტანილი იქნეს მიწათ-მომწყობის პროექტში უმიწაწყლოთა და მცირე მიწის მქონეთა დასაკმაყოფილებლათ გასაკათავათ, რის შესახებაც მიწათ-მომწყობი შეეკითხება ტყის გამგეს.

27. კომიტეტი ტყის გამგეს იწვევს უწყებათ, თუ გამგე მეორე უწყების შემდეგაც არ გამოცხადდა, კომიტეტი თითონ სწყვეტს საკითხს.

28. სასოფლო საბალახოებათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნან დატოვებული სამოსახლოებათ, საბაღეთ და სახნავ-სათესათ სავარგისი მიწები.

29. იმ სოფელში, სადაც ყველა მცხოვრებთა ნორმამდე დაკმაყოფილების შემდეგ კიდევ დარჩება მიწა, ამ ზედმეტ მიწიდან კომლთა გამრავლების საჭიროებისათვის გამოიყოფა სათადარიგო ფონდი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სოფლის სამოსახლო-ბაღ-ვენახის და საყანე მიწების მთელი რაოდენობის ათ პროცენტს, და უკეთუ ამის შემდეგ კიდევ დარჩა თავისუფალი მიწა, იგი ჩაირიცხება საახელშენო ფონდში.

შენიშვნა: სათადარიგო ფონდი თემის განკარგულებაშია და მთელი მისი შემოსავალი ხმარდება სოფლის საერთო საჭიროებას.

30. თუ შესაძლებელი იქნება საახალშენო ფონდის გადაჭრა, უნდა დაუყოვნებლივ ეცნობოს მიწათ-მომწყობს. ახალშენების მოწყობა განისაზღვრება ცალკე ინსტრუქციით.

31. როცა სოფელში არ არის საკმაო თავისუფალი ფონდი, კომიტეტი იღებს ზომებს, რომ უმიწაწყლო სოფელნი დაკმაყოფილებულ იქნენ მოსაზღვრე სოფლების თავისუფალი ფონდიდან, ან სხვა ადგილებში გადასახლებით.

32. მიწების კომლექურად დასანაწილებლათ წინასწარი პროექტი უნდა შესდგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა

დანაწილების დროს ატეხილი დავის გადაწყვეტა არ მოხერხდება ადგილზედვე თვით კომიტეტის მიერ. ამ შემთხვევაში წინასწარი პროექტი მიწების დანაწილებისა უნდა შეიცავდეს მოწინააღმდეგე მხარეების პროტენზიების აღნუსხვას და თან ახლდეს პლანი. ეს პროექტი წარედგინება სამაზრო მიწადმოქმედების განყოფილებას და მის მიერ საბოლოოთ უნდა იქნეს განხილული და გადაჭრილი მიწათ-მომწყობთან ერთად.

33. გადამიჯნულ ნაკვეთების საზღვრებზე შეიძლება ვაკეოდეს მიჯნის ნიშნები: ქვამიწაშეყრილი (курган), ქვის თლილი სვეტები, ხის ბოძები, რომელთა ქვეშაც მიწაში უნდა დაიფლას რაიმე უხრწნელი მასალა: ნახშირი, აგური ან შუშა.

III.

მიწის ზომვის ტექნიკიდან.

34. მუშაობის შესრულების დროს უნდა იხმარონ დედანი პლანშეტები. თუ მათზე ფერადებით ნაჩვენები მიწების სხვა და სხვაობა (УГОДЬЯ) სინამდვილეს აღარ შეეფერება, ახლად გადაღებული მიწები უნდა აღნიშნონ პლანშეტებზე მათი სახელწოდების პირველი ასოს დასმით და არა ხელახალი შეფერადებით.

35. ადგილ-მამულის კონფისკაციის და მიწის მოსარგებლესათვის დასატოვარ ნორმის განსაზღვრის დროს მიწის მზომლის მოვალეობაა გაარკვიოს შეეფერებიან თუ არა ნაჩვენები საზღვრები გამიჯვნის პლანს.

36. საადგილ-მამულო კომიტეტის მიერ მიწების დანაწილების დროს მიწის მზომელი იღებს დამატებითი პლანს ადგილებისას, ასწორებს ძველ პლანს და აღნიშნავს პლანზე მიწების კატეგორიას.

შენიშვნა: როცა საქმის გარემოება შესაძლებლათ ხდის რეკოგნოსციურ გადაღებას პლანისას, იმ შემთხვე-



ვაში კატეგორიების და მიწების სხვა და სხვა
დაინიშნება პლანშეტზე მხოლოდ ფანქარით.

37. მიწის ზომვის ყველა სამუშაო იქნება დაფუძნებული სამკუთხედთა და მრავალკუთხედთა წერტილებზე.

შენიშვნა: იმ ადგილებში, სადაც სამკუთხედთა წერტილებით სარგებლობა მოითხოვს განსაკუთრებულ დროსა და ხარჯებს, მიწების ზომვა, მიწის მოწყობის სიჩქარის აღუცილებლობის გამო, შეიძლება შესრულებულ იქნეს თავისუფალ ბაზისიდან რომელიმე მუდმივ წერტილზე მიბმით. ასეთ შემთხვევაში პლანშეტი უნდა მოიმართოს მაგნიტურ მერიდიანზე და ადგილზე უნდა გაიზომოს საზღვრის ზოგიერთი ხაზების სიგრძე და რუმბი და ასეთი ხაზების თავში და ბოლოში უნდა ჩაყრილ იქნეს რამე მტკიცე ნიშნები.

38. ზომვის დროს მიწის მზომელმა, რამდენათაც შესაძლებელია, უნდა დაიცოს მუშაობის ის წესი (კუთხითი ზომვა ან მენზუოიხი), რომელიც მიღებულია იმ ადგილებში, მაგრამ თუ მას რაიმე განსაზღვრული რჩევა არა აქვს მიღებული მიწათ-მოწყობისაგან, მას შეუძლია აირჩიოს ისეთი წესი, რომელსაც თითონ დაინახავს საჭიროთ, ოღონდ კი ზომვის სისწორე დაცული იქნეს იმდენათ, რამდენათაც ეს საქმეს შეეფერება და დრო უმიზნოთ ზედმეტ მუშაობაზე არ დაიკარგოს.

IV.

სამოსახლოების შესახებ.

39. საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვისაც სოფლად აქვს ცალკე მოსახლეობა, სულ ერთია აქვს მას უფლება მიწის ნორმის მიღებისა თუ არა, შეუძლია დაიტოვოს სამოსახლო ზომით არა უმეტეს 1.200 კვ. საეენისა ერთ ნაქრათ.

40. როცა სამოსახლოს ზედ აკრავს იმდენი მიწა, რომ მთელი ნაკვეთი აღემატება 1200 კვ. საჟ., პატრონს, თუ მას მიწის ნორმის მიღების უფლება აქვს, უნდა დაეტოვოს მხოლოდ კულტურულათ გაშენებული ნაწილი (ვენახი, ბაღი, ბოსტანი, კარზე ტყე და სხ.) პირველი კატეგორიის მიწის ანგარიშით, დაუშუშავებელი ან არა კულტურულათ დამუშავებული ნაწილი ეზო-გარემოსა უნდა ჩამორთმეულ იქნეს როგორც სამოსახლო ალაფი, თუ ამას საჭიროებს სოფელი.

41. სამოსახლოების მოწყობის დროს უმიწაწყლოთ და ისეთ პირებს, რომელსაც პატარა სამოსახლოები აქვთ, უნდა მიეცეს სამოსახლოთ არა ნაკლებ 300 და არა უმეტეს 600 კვ. საჟ. ან თვით სოფელში ჩამონაჭერ მიწებიდან ან სოფლის გარშემო მდებარე სახნავ ან საბალახო მიწებიდან და კალოებიდან.

შინიშვნა: არა სოფლის მეურნეთ, რომელთა სამოსახლო ნაკვეთი 1200 კვ. საჟენზე ნაკლებია, დანაკლისი არ შეეესებათ.

42. სოფლის გაფართოებას წინა მუხლში ნაჩვენებ წესით ექნება ადგილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს სოფლის მეკომურთა ორი მესამედი; თუ ასეთი უმრავლესობა არ შესდგა, იმ პირთ, რომელთაც სამოსახლოები უნდა მისცემოდა, სახნავ მიწების დანაწილების დროს მიეცემათ ზედმეტი 1200 კვ. საჟენი სამოსახლოს მაგიერ.

43. როცა სამოსახლო 300 კვ. საჟენზე ნაკლებია, პატრონს უნდა აღეკრძალოს ასეთ სამოსახლოზე ახალი სახლის აგება, გარდა არა სოფლის მეურნეთა, რომელთაც ახალი შენობის აგების უფლება აქვთ, თუ სოფელი მათ არ მისცემს მაგიერ მიწას მათი არჩევით.

44. სოფლის მეკომურთა ორ მესამედს შეუძლია ითხოვოს, რომ სოფელი მოწყობილი იქნას პლანზე. ასეთი თხოვ-



ნა სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილების დასკვნით ზავენება მიწად-მოქმედების კომისარიატში დასამტკიცებლათ. მოწინააღმდეგეს განსაჩივრების უფლება აქვს ერთი თვის ვადაში დღიდან სამაზრო განყოფილებიდან თხოვნის ვაგზავენისა კომისარიატში.

45. სოფლის მოსახლეობის გაფართოების დროს თანახმად წინა მუხლებში ნათქვამისა მიწის მზომელი შეადგენს ახალი სამოსახლოების პლანს ქუჩების და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ადგილების (სკოლა, კოოპერატივი, წყალსადენი და სხ. ამგვარის) აღნიშვნით.

V.

საადგილ-მამულო კომიტეტის განსაკუთრებული უფლება-მოვალეობა.

46. კომიტეტის ადგილობრივ არჩეულ წევრებს ეძლევათ სოფლისაგან ჯილდო ფულით ან ნატურით, რომლის რაოდენობასაც და აგრეთვე შემდეგ მუხლში ჩამოთვლილ ხარჯებს განსაზღვრავს საადგილ-მამულო კომიტეტის ამრჩევი ყრილობა.

47. სოფელი ვალდებულია მისცეს კომიტეტს შესაფერი ბინა საკანცელარიო და სამხაზველო მუშაობისათვის სავარგისი, გათბობით, განათებით და საჭირო მოწყობილობით. ბინის დარაჯი, ცხენები ან სხვა გადასაზიდი საშუალება, ერთი მუდმივი მუშა (რეეჩნიკი) მიწის მზომლისათვის, მუშები ტყის გასაჩეხათ და გეოდეზიურ იარაღის გადასატანათ და საჭირო მასალა საზღვრებზე ნიშნების ჩასაყრელათ.

48. თუ სოფელი კომიტეტს არ აღმოუჩენს კანონიერ დახმარებას, რის გამოც წესიერი და ნაყოფიერი მუშაობა კომიტეტისა შეუძლებელი შეიქნება, კომიტეტის თავმჯდომარე ამის შესახებ შეადგენს ოქმს და მიწის მზომელი დაუყოვნებლივ გადადის შემდეგ სამუშაოზე. ოქმის ასლი საჩქაროთ



ეგზავნება მიწად-მოქმედების კომისარიატს და სამაზრო მასკომს.

49. ოქმის ასლის მიღებისთანავე სამაზრო აღმასკომი დაუყოვნებლივ ახდენს გამოძიებას, და მნაშავეთა მიწათ-მოწყობის მუშაობის შეჩერებაში აძლევს პასუხის გებაში, იღებს ზომებს მუშაობის გასაგრძელებლათ და შედეგს აცნობებს მიწად-მოქმედების კომისარიატს.

50. მიწათ-მომწყობის ნებადაურთველაო მიწის მზომელს არ შეუძლია დასტოვოს ან შესწყვიტოს მუშაობა, გარდა ამ ინსტრუქციის მე 48 მუხლში მოხსენებულ შემთხვევისა.

51. კამერალური სამუშაონი უნდა შესრულებულ იქნას შეძლების და გვარათ ისეთ უამილო დღეებში, როდესაც მინდვრათ მუშაობა არ შეიძლება.

52. ასლი აქტისა ამ უკანასკნელის სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილებაში დამტკიცებამდე შეიძლება მიეცეს მიწის მოსარგებლეს თანახმად მისი თხოვნისა საერთო წესით. აქტებზე დართულ პლანის ასლის მიცემა მიწით მოსარგებლეთათვის მინდვრათ მუშაობის ხანაში სავალდებულო არაა.

53. დამტკიცებული აქტებიდან სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილებაში უნდა გადადებულ იქნას ორი ასლი, რომელთაგანაც ერთი ეძლევა მიწის მოსარგებლეს და მეორე რჩება განყოფილებაში, დედანი აქტისა ეგზავნება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატში სარეგისტრაციოთ და მიწათ-მოწყობის განყოფილების სამიჯნო არხივში შესანახათ.

54. როცა სოფელში გათავდება ყველა სამუშაო მიწათ-მოწყობისა, საქმე წარედგინება მიწათ-მომწყობს.



ფორმა ა.
(მუხ. 7).

ინსტრუქციის დამატებანი.

ო კ მ ი.

1922 წელსა მაისის 2 დღესა ჩვენ ქვემოთ ანისა ხელის მომწერთ სოფელ წილკანის დუშეთის მაზრის მცხოვრებლებმა, შევიყარენით-რა წილკანის აღმასრულებელ კომიტეტის ინიციატივით საზოგადო ყრილობაზე რიცხვით ორ მესამედმა ყველა მეკომურთა აღნიშნულ სოფლისა, ამოვირჩიეთ ამავე სოფლის მცხოვრებ უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთა შორის შემდეგი პირები საადგილ-მამულო კომიტეტის წევრებათ: ნიკო ივანეს ძე ჩორღიშვილი, ვანო კომოთეს ძე ქურციკაშვილი და ესტატე პეტრეს ძე ნინიკაშვილი.

ხელის მოწერა დმსწრეთა
აღმას. კომიტეტის შემოწმება

ს ი ა.

ფორმა ბ
(მუხ. 8).

ნორმაზე მეტი მიწის მქონეთა.

სოფელ წილკანში დუშეთის მაზრისა მესამე რაიონის.

№№-რი	სახელი, მამის სახელი და გვარი იმ პირთა, რომლებსაც ნორმაზედ მეტი მიწა აქვთ	რაოდენობა ყველა მ წებისა	
		დეკტ.	კვ. საფ.
1	პეტრე პავლეს ძე ნიავაძე	10	"
2	ბესო ღვთისოს ძე პურადაშვილი	9	1200
3	ვანო ექვთიმეს ძე სამადაშვილი	7	1600
4	ნინო ვარლამის ასული ერისთავისა	7	"
5	ერზილე თომას ძე ფოთლიშვილი	6	800
6	ექვთიმე ჩიტოს ძე მემანიშვილი	6	"

საადგილ-მამულო კომიტეტის თავმჯდომარე
კომიტეტის წევრები:



ს კ ტ ი

ოზურგეთის მაზრის სოფელ მაკვანეთში მდებარე მიწების განხარისხების შესახებ.

1922 წელსა მაისის 5 დღესა. მაკვანეთის საადგილ-მამულო კომიტეტი შემდეგის შემადგენლობით: თავმჯდომარე ჰავლე სიმონის ძე საჯაია და წევრები: მიწად-მოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი, მიწის მზომელი ქარცავაძე, მაკვანეთის თემის აღმს. კომ. ის წარმომადგენელი ლუკა ვაშალომიძე, სიმონ ივანეს ძე ღლონტი, კომოთე ხახულას ძე მენაბდე და გიორგი სამსონის ძე მამალაძე, შეუდგა სოფელ მაკვანეთში მდებარე მიწების კატეგორიის გამორკვევას. ადგილობრივ დეტალურათ განხილვით მიწების შემადგენლობის, მათი მდებარეობის, ნიადაგის ავკარგიანობისა და სხვ., გამოიკვია, რომ სოფელ მაკვანეთში მიწა-ადგილი უნდა კაიყოს შემდეგ სამ კატეგორიათ: პირველ კატეგორიაში შევლენ სამოსახლო, საბადე, საბოსტნე და სახნავი სარწყავი მიწები შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით ოზურგეთის გზა ივანე ფოჩხიძის გზოდან ეკლესიამდე, სამხრეთით ეკლესიის დღე ციხის ნანგრევამდე, დასავლეთით ტყის პირი „ბერიკას ნაყანებამდე“ და შემდეგ დიდი გზა ჩიტის წყარომდე და ჩრდილოეთით სოფლის საზღვარი. მთელი ამ ადგილის სივრცე უდრის ას სამოცდა ექვს ნახევარ დესეტინას გზებისა და დღეების გამოკლებით.

მეორე კატეგორიაში ჩაითვლება ზემო აღნიშნული საზღვრის გარეთ მდებარე საყანეები სახელდობრ: „ნაომარი ზომით სამოცდა თორმეტი დესეტინა“, „ნაპურალი“ — ორმოცდა სამი დესეტინა „ქამანჩელა“ — ოცდა რვა დესეტინა და „მელის კულა“ — თექვსმეტი დესეტინა. ეს საყანეები



შესდგებიან შემდეგ გამიჯნულ ნაკვეთებიდან №№: 17—42 მდე, 44, 45, 50, 53, 71—96 მდე და 101, სივრცით 159 დესეტინა.

მესამე კატეგორიაში რჩება „ლაშე წყაროს“ საყანეები სახელათ „წითელი მიწა“ საზღვრებთა შორის: აღმოსავლეთით ნაომარის საყანეები, დასავლეთით სესიას ღელე. სამხრეთით წყაროს ბილიკი და ჩრდილოეთით ტყე, სივრცით ას თერთმეტი დესეტინა. მეორე და მესამე კატეგორიების სივრციდან ვზები გამოკლებული არაა.

საადგილ-მამულო კომიტეტის თავმჯდომარე (ხელის მოწერა)

წ ე ვ რ ე ბ ი

სიღნაღის მაზრა

ფორმა დ.
(მუხ. 10)

ა კ ტ ი

1922 წელსა მაისის 15 დღესა. სოფელ კაჭრეთის საადგილ-მამულო კომიტეტმა შემდეგის შემადგენლობით: თავმჯდომარე ბესარიონ ყარამანის ძე ფალავანდიშვილი და წევრები მიწ. მოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი მიწის მზომელი ჩერქეზიშვილი, კაჭრეთის აღმასკომის წარმომადგენელი კაკო ნოკალაიშვილი, პეტრე ხაჭაპურიძე, ვასილ ბიბილაშვილი და ტატო მამუკაშვილი, შეუდგარა მიწათ-მოწყობის საქმეს სოფელ კაჭრეთში, გამოირკვა, რომ ხსენებულ სოფელში შემოწმებული საანკეტო ცნობების თანახმად, ჩამოსართმევი მიწები არავისა აქვს. უმიწაწყლოთა და მცირე მიწის მქონეთა შორის სხვა ალაგზე გადასახლება მოისურვებს შემდეგმა პირებმა: 1) ვანო ცქიფურიშვილმა, 2) ესტატე ნამორაძემ, 3) ივანე ნანობა-



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

შვილმა, 4) გიგო როსაფაშვილმა და 5) ნესტორ
რის შესახებაც გაეგზავნა ცნობა მიწათ-მომწყობ ცისკარაშვილს
კომისარიატის მიწათ-მომწყობის განყოფილებაში წარსადგენათ.

თავჯდომარე

კომიტეტის

(ხელს აწერენ)

წევრნი:

ქუთაისის მაზრის

ფორმა ე.

სოფ. მესხეთის

(მუხ. 12).

საადგილ-მიმუღო კომიტეტი

„ 21 “ მაისი 1922 წელი

(უწყების პირველ გვერდზე)

№ 75.

სოფელ მესხეთში მცხოვრებ

თადეოზ ერმალოს ძე კუხიანიძეს.

უ წ ყ ე ბ ა

თანახმად საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს „მიწათ-
მომწყობის დებულებისა“ 23 მაისს 1922 წ. დღის 8 საათზე
დანიშნულია ჩამორთმევა თქვენი კუთვნილი მიწის ნაკვეთისა
მდებარე სოფ. მესხეთში. დანიშნულ დღისთვის საადგილ-
მამულო კომიტეტი გთხოვთ გამოცხადდეთ სოფ. მუხიანში
კომიტეტის ბინაზე.

კომიტეტის თავმჯდომარე ცომაია.



ქუთაისის მაზრის
სოფ. მესხეთის

მესხეთის აღმასკომის თავმჯდომარეს.

საადგილ-მამულა კომიტეტი
„ 21 „ მაისი 1922 წ.
№ 75.

გთხოვთ ამასთანავე დართული უწყება ჩააბაროთ კუთვნილებისამებრ და ჩაბარების

ხელწერილი დაუბრუნოთ კომიტეტს.

კომიტეტის თავმჯდომარე **ცომაია.**

(უწყების მეორე გვერდზე)

ამონაწერი მიწათ-მოწყობის ინსტრუქციიდან.

მუხლი 12. ზედ-მეტი მიწების ჩამოსართმევით კომიტეტი იწვევს უწყებით მიწის პატრონს, რომლის გამოუცხადებლობა ჩამორთმევას ვერ შეაჩერებს. უწყება უნდა ჩაბარდეს მიწის პატრონს ან მისი ოჯახის წევრს არა უგვიანეს წინა დღისა მუშაობის დაწყებამდე ადგილობრივ ადმინისტრაციის საშუალებით. ადგილის პატრონს უფლება აქვს მიწების არჩევისა მთლიანი ნაკვეთებით, რამდენ სოფელშიდაც უნდა ჰქონდეს მას მიწა, მაგრამ ნაკვეთების დაქუცმაცება არ შეუძლია.

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი.

მივიღე უწყება მიწის ჩამორთმევისა ჩემი ყოფილ მამულიდან მდებარე სოფ. მესხეთში ქუთაისის მაზრისა, რომელიც დანიშნულია ამა წლის მაისის 23 რიცხვში.

(ხელის მოწერა ადრესატისა)

ჩავაბარე; ხელის მოწერა უწყების ჩამბარებლისა

ეს ხელწერილი უბრუნდება სოფ. მესხეთის საადგილ-მამულა კომიტეტს.

თბილისის მაზრა, სოფელი დილომი, მეორე რაიონი.

ა კ ტ ი.

1922 წელს მაისის 21 დღესა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის „მიწათ-მოწყობის დებულების“ ძალით დილომის საადგილ-მამულო კომიტეტი შემდეგის შემადგენლობით: თავმჯდომარე კონსტანტინე ბროძელი და წევრები: მიწად-მოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი მიწის მზომელი კვიციანიძე, დილომის თემის აღმასკომის წარმომადგენელი ნანია ჩიბუხიშვილი, კოტე ნალობანიშვილი, ვანო წამალაშვილი და ქრისტესა ციმაკურიძე, შეუდგა აღნიშნულ „დებულების“ მეექვსე მუხლში ნაჩვენებ მოქმედებას.

თანხმად აღგილობრივ გამოკვლევისა ადგილ-მამული, ყოფილი საკუთრება სოფელ დილომში მცხოვრებ პეტრე ივანეს ძე წ-რბელაშვილისა, რომელსაც ა. წ. მაისის 19 გაეგზასნა უწყება და ჩაბარდა იმავე დღეს, მდებარეობს მეორე რაიონში, რომელშიდაც ნორჰა დატოვებისა დაწესებულია პირველ კატეგორიის მიწებში ოთხ ნახევარი დესეტინა, მეორესაში ექვსი დესეტინა, მესამე კატეგორიაში შვიდ-ნახევარი დესეტინა და მეოთხეში — ცხრა, და შესდგება ქვემოთ მოყვანილ ეკსპლიკაციებში №№ I და II ნაჩვენეა ნაკვეთებიდან, რომლითაც სარგებლობენ შემდეგი წევრნი პეტრე წურბელაშვილის ოჯახისა: თითონ პეტრე 62 წლისა, მისი ცოლი მარიამ 58 წლის, მათი ვაჟი ვანო 19 წლის, ქალი პელო 14 წლის და ობალი ძმის წული ქალი ნინო 16 წლის — ყველა მიწის მუშა მეურნენი და პეტრეს მეორე ძმისწული ივანე სამსონის ძე წურბელაშვილი 24 წლის, მისი ცოლი ქეთევან 20 წლისა და მათი ვაჟი გიგო-2 წლისა, უკანასკნელი სამი



სული ცხოვრობენ თბილისში რადგანაც ივანე წურბელაშვილი სამსახურშია ფოსტა-ტელეგრაფზე.

ზემოხსენებულის გამო კომიტეტმა დაადგინა: 1) დაეტოვოს უვადო შეუწყვეტელ და საშვილიშვილო სარგებლობაში სოფელ დილომში მცხოვრებ პეტრე ივანეს ძე წურბელაშვილს და ზემოთ მოხსენებულ წევრებს მისი ოჯახისა ქვემოთ ნაჩვენები ეკსპლიკაციაში № I ნაკვეთები მიწისა.

ეკსპლიკაცია № 1

ნორმაში დატოვებულ ნაკვეთებისა.

№.№ რიგ.	ნაკვეთების №.№ კლან-ზე.	ნაკვეთების სახელი და მიწების შემადგენლობა.	კატეგორია მიწებისა.	დღს.	საყ.	შენიშვნა.
1	72	„ივანესოული“ სა მოსახლო.	პირვ.	„	800	ერთ სართულაანი ქეიტკინის სახლი 5 ოთახით.
2	128	„გორი“ ვენახი და ბაღი	პირვ.	1	1600	ნახევარზე ვენახი ნახევარზე ხეხილი.
3	202	„ტიალი“ ვენახი	პირვ.	„	1800	
4	408	„ნაომარი“ საყანე	პირვ.	2	1800	
5	712-ა	„ფედრო“ საყანე	მესამ.	1	600	
ს უ ლ				6	1000	

და 2) ის ნაკვეთები, რომლებიც ნაჩვენებია ქვემოთ-ეკსპლიკაციაში № II-ჩამორთმეულ იქნან.

ექსპლიკაცია № II.

ჩამორთმეულ ნაკვეთებისა.

№№ რიგ.	ნაკვეთების №№ კლანხე.	ნაკვეთების სახელი და მიწების შემადგენ- ლობა.	კატეგორია მიწებისა.	დეს.	კვ. საე.	შენიშვნა:
1	415	„ნაომარი“ საყანე	პირვ.	2	„	
2	419	„ნაომარი“ საყანე	პირვ.	„	1200	
3	722	„ქვიანი“ ველი	მესამ.	3	1600	
4	723	„ქვიანი“ ველი	მესამ.	1	1200	
5	712 ბ	„ფერდო“ საყანე	მესამ.	4	„	
ს უ ლ . . .				11	1600	

კომიტეტის { თავმჯდომარე (ხელის მოწერა)
წევრები: (ხელის მოწერა)

ამიწის მოსარგებლე პეტრე წურბელაშვილი, მის უწერილობისა გამო ხელს ვაწერ შვილი მისი ვანო წურბელაშვილი.

პავლე ცნობილაძე.

მომიჯნავე მოსარგებლენი: კიმოთე ცინცაბაძე.

ივანე წაილიაშვილი.

ნ უ ს ხ ა

ჩამორთმეული მიწებისა სოფელ დილოში თბილისის მაზრ.

№. № რიგ.	ნაკვეთების № № კლას- ნზე.	ნაკვეთების სახელი და მათი მიწების შემადგენლობა	მიწების კატეგორ.	სივრცე		ვის ჩამოერთვა მიწა
				დეს.	კვ. საფ.	
1	415	„ნაომარი“ საყანე	I	2	„	
2	419	„ნაომარი“ სიყანე	I	„	1200	
3	722	„ქვიანი“ ველი	III	3	1600	პეტრე წურ- ბელაშვილს
4	723	„ქვიანი“ ველი	III	1	1200	
5	712-3	„ფერდო“ საყინე	III	4	„	
6	84	„ივანეს სოული“ სამოსიხლო	I	„	600	
7	125	„გორი“ სახნავი	I	„	1200	მარიამ ბებუ- თოვისას
8	174	„ვაკე“ სახნავი	II	2	1100	

სულ I კატეგორ. 3 დეს. 600 კვ. საფ.,
II—2 დეს. 1100 კვ. საფ და მე. III კატე-
გორიის 9 აგს. 400 კვადრ. საფ.

დიღმის საადგილ-მა } თავმჯდ. (ხელის მოწერა)
მულო კომიტეტის } წევრნი (ხელის მოწერა)

ს კ ტ ი

1922 წელსა მაისის 15 დღესა. თბილასის მაზრის სოფ. დილომის საადგილ-მამულო კომიტეტმა, შემდეგის შემადგენლობით: თავმჯდომარე კონსტანტინე ბროძელი და წევრები: მიწად-მოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი მიწის მზომელი კვიციანიძე, დილომის თემის აღმასკომის წარმომადგენელი ნანია ჩიბუხიშვილი, ვანო წამალაშვილი და ქრისტესა ციმაკურიძე, მოიწვია სოფლის დილომის ყრილობა შემდეგი საკითხის გამოსარკვევათ: 1) მოწყობა კომუნების, ამხანაგობის ან არტელების სასოფლო მეურნეობის კოლექტიურათ საწარმოებლათ; 2) თავისუფალი საახალშენო ფონდის მიწებზე გადასახლება; 3) საეზოვე მიწების გადაჭრა; 4) სოფლის მოწყობა ახალი პლანით; 5) გამოყოფა კულტურულ განმანათლებელი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის სხვა და სხვა ნაკვეთებისა 6) დატოვება ათ პროცენტთან სათადარიგო ფონდისა და 7) გამოყოფა საახალშენო ფონდისთვის გადარჩენილი მიწისა ერთ ფარგალში.

პირველი საკითხის შესახებ ამხანაგ ნანია ჩიბუხიშვილის სიტყვის შემდეგ, რომლითაც მან მიმართა ყრილობას და აუხსნა მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში კოლექტიურის ფორმით მიწის დამუშავებისა, გამოირკვა, რომ თორმეტმა კომლმა განაცხადეს სურვილი არტელის შედგენისა იმ პირობით რომ მათ გადაეცეთ სოფლის ბოლოში მდებარე ბალი ყოფილი ბოზარაჩიანცისა შვიდი დესეტინა თავისი შენობებით, რის შესახებაც ცალკე მოხსენება იქნა გაგზავნილი მიწად-მოქმედების კომისარიატში. კოლექტივურათ მიწის დამუშავების მსურველი სხვა არ აღმოჩნდა.

მეორე საკითხის შესახებ გამოიკვია, რომ თუმცა სოფელში არიან მცირე მიწის მქონენი, მაგრამ სხვა ალაგზე გადასახლება არავის სურს.

მესამე საკითხის შესახებ გამოიკვია, რომ ის თექვსმეტი კომლი, რომელთაც ძალიან მცირე სამოსახლოები აქვთ შეიძლება დასახლებულ იქნან ცალკე უბნათ სოფლის თავში მდებარე საფონდო მიწაზე № 6, ყოფილ ბებუთოვისა, ზომით ხუთ დესეტინაზე.

მეოთხე საკითხი არ განხილულა, რადგანაც ყრილობის დიდმა უმრავლესობამ უარი განაცაადა სოფლის ახალ პლანზე მოწყობისა.

მეხუთე საკითხის შესახებ გამოიკვია, რომ უნდა გადიდებულ იქნას ოთხი ნაკვეთი საფონდო მიწა №№ 7, 12, 15 და 74, პირველი კულტურულ საჩვენებელ მინდვრათ, მეორე სკოლისათვის, მესამე კოოპერატივისათვის და მეოთხე აღმასკომის შენობისათვის.

მეექვსე და **მეშვიდე** საკითხები არ განხილულა, რადგანაც სოფელს მიწა არ ჰყოფნის ყველა მცხოვრებთა ნორმადე დასაკმაყოფილებლათ.

თანახმად ზემოხსენებულისა კომიტეტმა დაადგინა დაუყონებლივ შეუდგეს შესრულებას ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებისა, რისთვისაც პირველ ყოვლისა უნდა დაიჭრას სამოსახლოეათ იდგილი № 6 ყოფილი ბებუთოვისა და შემდეგ შეუდგეს საყანეების დანაწილებას.

კომიტეტის	}	თავმჯდომარე
		(ხელის მოწერა)
	}	წევრები:



ფორმა ი.
(მუხ. 16.)

თბილისის მაზრის, სოფელი დილომში. მეორე რაიონი

ა კ ტ ი

1922 წელსა მაისის 25 დღესა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის „მიწათ-მოწყობის დებულების“ ძალით სოფელ დილომის საადგილ-მამულო კომიტეტი, შემდეგის შემადგენლობით: თავმჯდომარე კონსტანტინე ბროძელი და წევრები: მიწად-მოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი მიწის მზომელი კვიციანაძე, დილომის თემის აღმასკომის წარმომადგენელი ნანია ჩიბუხიშვილი, კოტე ნალბანდიშვილი, ვანო წამალაშვილი და ქრისტესა ციმაკურიძე, შეუდგა აღნიშნულ „დებულების“ მეორე მუხლში მოხსენებულ მოქმედებას და გამოიკვია რომ სოფელ დილომში მცხოვრები მაქსიმე გივის ძე პეტრიაშვილი არის მცირე მიწის მქონე და მისი ოჯახი შესდგება ექვსი სულისაგან: თითონ მაქსიმე 41 წლისა, მისი ცოლი ირინე 35 წლისა, დედა 62 წლისა, ავათყაფი ძმა სიმონ 50 წლისა, ვაჟი კოტე 12 წლისა და ქალი ანნა 8 წლისა, რომ ყველა ესენი მიწის მუშა არიან და დღემდე მათს სარგებლობაში იყო ქვემოთ მოყვანილ ექსპლიკაციაში № 1 ნაჩვენები მიწის ნაქრები, რის გამოც კომიტეტმა დაადგინა: 1) დაეტოვოს სოფ. დილომის მცხოვრებ მაქსიმე გივის ძე პეტრიაშვილს და ზემოთ მოხსენებულ მის ოჯახის წევრებს უვადო, შეუწყვეთელ და საშვილიშვილო სარგებლობაში დღემდე მათ ხელში ყოფილი ნაკვეთები მიწისა ნაჩვენები ექსპლიკაციაში № 1.

ექსპლიკაცია № 1

დატოვებული ნაკვეთებისა

№№ რიგ.	ნაკვეთების №№ პლა- ნზე.	ნაკვეთების სახელი და მიწის შემადგენ- ლობა.	კატეგორი- ა მიწებისა	დეს.	კვ. საუ.	შენიშვნა
1	61	„ნესტიანი სამოსახ.	ირვ.	„	60	ეთოთახი- ანი ხის სახლი
2	421	„ნაომარი“ სახნავი	პირვ.	„	1200	
3	714	„ფერდი“ ჩირგვიანი	მეს.	„	600	
4	818	„მური“ ჩირგვიანი	მეს.	„	900	
ს უ ლ				1	360	

და 2) მიეცეს მათვე მუდმივ სარგებლობაში ქვემოთ, ექსპლი-
კაციაში № 11-ში ნაჩვენები ნაკვეთები მიწისა.

ექსპლიკაცია № 11

მიცემული ნაკვეთებისა.

№№ რიგ.	ნაკვეთების №№ პლა- ნზე	ნაკვეთის სახელი და მიწების შემადგენ- ლობა	კატეგორი- ა მიწებისა	დესეტ.	კვ. საუ.	შენიშვნა
1	415	„ნაომარი“ საყანე	პირ.	2	„	ცარიელი ალაგი
2	84	„ივანესოული“ სა- მოსახლო . . .	პირ.	„	600	
3	174	„ვაკე“ სახნავი . .	პირ.	2	1100	
ს უ ლ .				4	1700	

სულ ორივე ექსპლიკაციით ხუთი დესეტ. და 2030 კვ. საუ.

თავმჯდომარე

დიდმის საადგილ-მამულო კომიტ.

(ხელის მოწერა)

წევრნი:

